

# ნათია ქაჯაია

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი და სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი



2003 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

2000–2004 წწ. სწავლობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში (კონსტიტუციური სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის კურსი);

ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტია ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის მიმართულებით;

2003 წლიდან დღემდე სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული სპეციალისტია;

2011 წლიდან დღემდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტია;

2014 წლიდან დღემდე - შპს ნათია ქაჯაიას საადვოკატო ოფისის მმართველი პარტნიორი, ადვოკატია;

2018 წლიდან დღემდე თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი და სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელია;

2009-2010 წლებში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

2004-2009 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა სამსახურის მრჩეველი, მთავარი კონსულტანტი; ახორციელებდა საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობას სასამართლოებში;

2010-2011 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მონიტორინგის სამმართველოს მრჩეველი, რეგიონული ზედამხედველობის სამსახურის მრჩეველი;

ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, პროკურატურის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები;

ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.